№ 20

ხელშეკრულება # 1

ქ. ქუთაისი 9 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ქუთაისის #11 საჯარო სკოლა, (შემდგომში "შემსყიდველი") მისი დირექტორის უშანგი ფხაკაძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი გორის ქ. # 32) და მეორეს მხრივ ი/მ „იოველ ნიკოლაძე" ს/კ 60001020768 (შემდგომში "მიმწოდებელი") იოველ ნიკოლაძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის გამზ. #64/42 დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1, გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მომწოდებელი " - ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოებს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ტექნიკური დავალება" –ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების ობიექტი

2.1 სსიპ ქალაქ ქუთაისის #11 საჯარო სკოლის საწვიმარი მილებისა და ძაბრების შესაკეთებელი სამუშაოები. (CPV 45400000)

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 170 (ასსამოცდაათი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყონებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სამუშაოს შესრულების ვადები

5.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 1(ერთი) კალენდარულ დღეში.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება, (ფორმა 2)

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 შესრულებულ სამუშოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია: სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია: უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია: მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი ი/მ მცირე მეწარმე „იოველი ნიკოლაძე"
სსიპ ქალაქ ქუთაისის №11 საჯარო სკოლა	ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. . #64/42
ქ. ქუთაისი გორის ქ. # 32	საიდენტიფიკაციო კოდი: 60001020768
სკოლის ს/კ 212708550	მომსახურე ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია,
მომსახურე ბანკი: ლიბერთი ბანკი	ანგარიშის ნომერი: GE 05VT0500000021003607
ა/ა GE52LB0121116149573000	ბანკის კოდი UGEB GE 22
ბანკის კოდი LBRTGE 22	

ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმოწერა ----------

ბ.ა